



"ეს შენ გეხება"

კამპანია „ეს შენ გეხება“ საქართველოს ყველა მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, ე.წ. ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს.

კამპანიამ ამისთვის „ეს შენ გეხებას“ ვებ-გვერდსა და „ფეისბუქის“ გვერდზე ელექტრონული სარჩელის ფორმა განათავსა. როგორც კამპანიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, ელექტრონული სარჩელის ეს ფორმა საქართველოს ყველა მოქალაქეს აძლევს შანსს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმი და გაასაჩივროს ახლად მიღებული კანონი.

სარჩელის ფორმა იხილეთ [ლინკზე](#).